საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	15	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	85	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ირაკლი ადეიშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ირაკლი ადეიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის კუთხით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მიერ გადმოცემული მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით, გამოყოფენ კანდიდატის ისეთ თვისებებს როგორიცაა შრომისმოყვარეობა, კომპეტენცია, კეთილსინდისიერება და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის ნაკლოვანებად უთითებს, რომ „საქმიან ურთიერთობებში იგი ზედმეტად ენდობა ადამიანებს" **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ადეიშვილი არის პრინციპული და მიუკერძოებელი პიროვნება. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. ი. ადეიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. მის შესახებ ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა ირაკლი ადეიშვილის პოლიტიკური ან სხვაგვარი ნიშნით მიკერძოების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. **პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. რაც შეეხება მის ქცევას მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილი იყო მოსარჩელე ერთ სამოქალაქო საქმეში (N27921-15, დავის საგანი - პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა). თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმაც). საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი

			ადეიშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია და მისი ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში. კანდიდატი კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. **ფინანსური ვალდებულების კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ადეიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატს საკუთრებაში აქვს ბინა: (98 კვ.მ - 50%); ქ.თბილისში და მსუბუქი ავტომანქანა. კანდიდატი იყო ა(ა)იპ „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს" გამგეობის წევრი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოების და მახასიათებლის გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ ირაკლი ადეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას და აღინიშნოს კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

			პრეცედენტული სამართლის ცოდნის მაღალი დონე. ირაკლი ადეიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (26.07.2003). გასაუბრებისას ირაკლი ადეიშვილი შეკითხვებს ძირითად პასუხობდა სწორად და სიღრმისეულად, თუმცა გამოვლინდა გარკვეული ხარვეზებიც კონკრეტული სამართლებრივი საკითხის შეფასების დროს. ასევე კანდიდატს არ გააჩნია სიღრმისეული ცოდნა სისხლის სამართლის მიმართულებით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა და გაანალიზებული მის მიერ წარმოდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილებების ასევე სამი სამეცნიერო პუბლიკაცია და განსხვავებული აზრი და უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება ასევე სამეცნიერო პუბლიკაციები დამაჯერებლად დასაბუთებულია. მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ არის დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას. კანდიდატი როგორც გადაწყვეტილებაში, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებში საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით გამართულად. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული სამართლებრივი საკითხი გადმოცემულია ზედმეტად ლაკონურად.

წერის უნარი	15	20	**წერის უნარის კუთხით** კანდიდატის- ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არც ისე იშვიათად იყენებს რთულ წინადადებებს, რაც რთულად აღსაქმელია.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ირაკლი ადეიშვილი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. აქვს სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარიც. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები ძირითადად ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი, როდესაც იყო თბილისის საქალაქო, ხოლო შემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლე, სასამართლო პროცესს წარმართავდა თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ჰქონდა მოსამართლის შესაფერისი იერსახე. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს დიდი ხანია არ განუხორციელებია სამოსამართლო საქმიანობა, ამიტომ რთულად განჭვრეტადია მისი მოქმედებები რთულ სტრესულ სიტუაციაში.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციების, სამართლებრივი სტატიებისა და წიგნების ავტორი და თანაავტორი.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** აქვს აქტიური მონაწილეობა მიღებული სხვადასხვა ფორმატის ღონისძიებებში, შეხვედრებსა და სემინარებში. (ჩამონათვალი იხილეთ კანდიდატის შესახებ მოძიებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) მის მიერ წარმოდგენილი იქნა ორი სამეცნიერო სახის პუბლიკაცია. ასევე არის არაერთი სამართლებრივი სტატიის და წიგნის ავტორი და თანაავტორი.
ქულათა ჯამი	**85**	**100**	

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21